1980-იანი წლებში კინოში ე.წ. პოსტ ახალი ტალღების ეპოქა დგება. საინტერესო პროცესები ხდება ევროპაში, ასე მაგალითად; ინდივიდუალური ხელწერით გამოირჩევა უნგრელი რეჟისორის იშტვან საბოს ფილმი „მეფისტო“, 1989 წელს პოლონელი რეჟისორი ქშიშტოფ კიშლოვსკი ქმნის ათი ფილმად გაერთიანებულ „რელიგიურ კინოეპოსს“ - დეკალოგი“, რომლის ყველა ეპიზოდი შექმნილია ათი მცნების მიხედვით. ამერიკულ კინოში რეიგანის გავლენით ბლოკბასტერები ბრუნდება, მკვიდრდება ძალადობრივი კინოს კულტი. თუმცა ამერიკაშივე იღებს გერმანელი რეჟისორი ვიმ ვენდერსი „პარიზი-ტექსას“, რომელიც მსოფლიო საავტორო კინოს ახალ პერსპექტივას უჩენს. თუკი „პარიზი-ტექსასში“ წარსულის გარეშე მყოფ ადამიანს ვეცნობით, წარსულის გადააზრებას გვთავაზობს ბერძენი რეჟისორი თეო ანგელოპულოსი. იგივეს ვხედავთ ბერნარდო ბერტოლუჩისთან, მისმა ფილმმა „უკანასკნელი იმპერატორი“, რომელიც ჩინეთის იმპერატორის, პუის ისტორიას მოგვითხრობს, 9 „ოსკარი“ დაიმსახურა. ამ პერიოდში საავტორო კინო უკვე ევროპულ საზღვრებს სცდება ირანელი რეჟისორის აბას კიაროსტამის შემოქმედების სახით. იგი „ირანულ ახალ ტალღას“ მიეკუთნება და ფილმებში ხშირად იყენებს ალეგორიულ თხრობას, მხატვრული და დოკუმენტური ელემენტების უჩვეულო ნაზავს.

ამ კონკრეტულ ათწლეულში ცხადია სულ სხვა შემოქმედებითი პროცესები მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირში. „რკინის ფარდის“ მიღმა მყოფი რეჟისორები, ახალ გმირებსა და თემებს სთავაზობენ მაყურებელს. ამ პერიოდის ქართულ კინოში სოციალური ფონის და ინდივიდის ურთიერთდამოკიდებულება ხდება ერთ-ერთი წამყვანი მოტივი .

1980-იანი წლების ქართულ კინოში ახალი სახეები მოდიან: ალეკო ცაბაძე, დიტო ცინცაძე, ნანა ჯორჯაძე, თემურ ბაბლუანი. მათ ფილმებში ჩნდებიან ახალი გმირები, რომლებიც ზუსტად გამოხატავენ კონკრეტული ეპოქის არსს. ფილმებში ახალი თემები, გამომსახველობითი ხერხები, ინდივიდუალური სტილი და დრამატურგიული მიგნებები მკვიდრდება. ამ თაობის პირველი ნამუშევარი, რომელმაც ფართო საზოგადოების და სპეციალისტთა ყურადღება მიიქცია თემურ ბაბლუანის „ბეღურების გადაფრენა“ იყო. აქ რეჟისორის ყურადღება ისეთ პერსონაჟებზე გამახვილდა, რომელთაც საბჭოთა კინემატოგრაფი არ იმჩნევდა არც ლაპარაკობდა. კიდევ ერთი ფილმი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს არის ტატო კოტეტიშვილის „ანემია“ (1987 წ.) აქ უკვე სათაურშივე რეჟისორს გარკვეულწილად განაჩენი გამოაქვს იმ საზოგადოებისთვის, რომელსაც უსიცოცხლოს, უუნაროს, არაფრის მაქნისს უწოდებს. ასევე ყოფის დაუფარავ კრიტიკას ვაწყდებით რეზო ესაძის ფილმში „ნეილონის ნაძვის ხე“ (1985 წ.),

რომელიც იმ პერიოდის საქართველოს განზოგადებულ სახის შექმნას ცდილობს პერსონაჟთა ფართო სპექტრის საშუალებით. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 80-იან წლებში სომხური წარმოშობის ქართველი რეჟისორი სერგო ფარაჯანოვი გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ დოდო აბაშიძეს თანარეჟისორობით იღებს ორ ფილმს ამბავი სურამის ციხისა (1984) და აშუღი ქერიბი (1988). მისი ნამუშევრებისთვის დამახასიათებელია მისტიურობა, ფერწერულობა, ეთნოგრაფიულობა, ასევე, ტექნიკური ინოვაციები; ფერადი და შავ-თეთრი სცენების მონაცვლეობა, ფილტრების გამოყენება, ინფრაწითელ ფირზეზე გადაღება და ა.შ. ამ ფილმებმა ფარაჯანოვს მსოფლიო აღიარება მოუტანეს, "აშუღი ქერიბი" 1988 წელს ევროპის კინოაკადემიის ჯილდოზეც კი იყო ნომინირებული.

ამ ათწლეულის კიდევ ერთი საინტერესო მოვლენა იყო ქართული ანიმაციური ფილმის „ჭირი“ გამარჯვება 1984 წელს კანის კინოფეტივალზე, როგორც საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმის.

საშა (ალექსანდრე) რეხვიაშვილი, მართალია 60-იანელთა თაობას მიეკუთვნება, თავის შემოქმედების მნიშვნელოვან ფილმებს იგი 1970-80 -იან წლებში ქმნის. სანამ საკუთარი ფილმების გადაღებას დაიწყებდა, რეჟისორმა 60-იან წლებში მნიშვნელოვნად განსაზღვრა ისეთი ფილმების ვიზუალური მხარე, როგორებიცაა „ალავერდობა“ „მიქელა“ „ფიროსმანი. ის გამორჩეული ხელწერის ოპერატორი იყო, არასტანდარტული ხედვითა და აზროვნების ფორმით, მოგვიანებით მან მერაბ კოკოჩაშვილის საკულტო ფილმზე - „დიდი მწვანე ველი“ იმუშავა.

ქართველი რეჟისორის კინოდებიუტი 1971 წელს შედგა მოკლემეტრაჟიანი ფილმით „ნუცა“, 70-იანების მიწურულს იგი იღებს კინოიგავს უნიკალური ესთეტიკით და თხრობის, დრამატურგიის ნოვატორული გააზრებით. „მე-19 საუკუნის ქართული ქრონიკა“, რომელიც დღემდე ქართული კინოს ერთ-ერთი გამორჩეული ფილმია. 1981 წელს საშა რეხვიაშვილმა გადაიღო „გზა შინისაკენ“, ამ ფილმში რეჟისორი აგრძელებს თავის შემოქმედების მნიშვნელოვან თემებს: ბუნების და ადამიანის ერთობა, ოჯახის, საზოგადოების, სოციუმის გააზრება, ინდივიდისა და საზოგადოების დაპირისპირება, ადამიანებს შორის გაუცხოება. თემატური მსგავსების გარდა, ეს ორი ფილმი „მეცხრამეტე საუკუნის ქართული ქრონიკა" და "გზა შინისაკენ" ესთეტიკურად მსგავსია: მინიმალისტური დეკორაცია მიზანსცენებში, უდროობის განცდა, პირობითობა პერსონაჟების ქმედებასა და დრამატურგიაში, კამერის მოძრაობა და მისი დისტანცირება პერსონაჟების მიმართ.

1986 წელს, საშა რეხვიაშვილი საბჭოთა კავშირის დანგრევამდე რამდენიმე წლით ადრე, იღებს ფილმს „საფეხური“. ფილმის მთავარი გმირი ალექსი, რომლის როლსაც ცნობილი ქართველი მსახიობი მერაბ ნინიძე ასრულებს, ხანგრძლივი ფიქრისა და საკუთარ თავთან ჭიდილის შემდეგ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მუშაობას თავს ანებებს და ბუნების მასწავლებლად მთაში, სოფელში მიდის. გმირის ეს გადაწყვეტილება მის სულიერ ცხოვრებაში ერთი საფეხურით ზეასვლის ტოლფასი ხდება. შესაძლოა სწორედ ასე ავხსნათ ფილმის სახელწოდება - „საფეხური“.

აღსანიშნავია, რომ „საფეხური“ რეჟისორის პირველი ფერადი ფილმია. როგორც ხშირად წერდნენ ეს ფილმი ზუსტად გამოხატავს დროს ე.წ. „ზასტოის ეპოქას“- უძრაობის ხანას, როცა ყველაფერი გაჩერებულია და სიახლეს, ცვლილებას აღარავინ ელის. „საფეხურში“ ისევე როგორც საშა რეხვიაშვილის სხვა ფილმებში თხრობა, მოქმედება რეალურისა და პირობითის ზღვარზე ვითარდება. რეჟისორის ეს ვიზუალურ-თემატური მიგნება, ზოგადად მისი შემოქმედებისთვისაც დამახასიათებელია. „საფეხურში“ კინოკამერა ინტერიერიდან არასდროს გადის, ოთახები, კორიდორები, კარები, ერთგვარ „ლაბირინთს“, კლაუსტროფობიულ ატმოსფეროს ქმნის. ფილმის სტილურ გადაწყვეტას მეტაფორულად თუ გავიაზრებთ, რეხვიაშვილის აღნიშნული სურათი ზუსტად გამოხატავს 80-იანების საქართველოს ყოფას, საბჭოთა სისტემაში გამომწყვდეულ ადამიანებს, რომლებიც ვერაფერს ცვლიან.

მერაბ ნინიძის გმირი, ჩაკეტილ სივრცეს არღვევს და მთაში მიდის. ალექსის გადაწყვეტილება არის პირველი ნაბიჯი, საფეხური ახალი ცხოვრების დაწყების გზაზე. გმირის ამგვარი ქმედება რეჟისორის ერთგვარ წინასწარმეტყველებად იქცა. ის რაც ხდებოდა მთავარ გმირში, საზოგადოების უდიდესი ნაწილის სულიერ მდგომარეობას წარმოადგენდა. „საფეხურის“ გამოსვლიდან სულ მცირე ხანში საბჭოთა კავშირში მნიშვნელოვანი პროცესები დაიწყო, რაც საბოლოოდ მისი დანგრევით დასრულდა.

ერთ-ერთ ინტერვიუში რეჟისორი საშა რეხვიაშვილი საბჭოთა სისტემის პირობებში შექმნილი ფილმების შესახებ ამბობს: „ჩემი ფილმებით გამოვხატე დამოკიდებულება საბჭოთა კავშირში არსებული სინამდვილის მიმართ. აქ იყო ძლიერი სულიერი ზეწოლა, რომელიც ზედმიწევნით ინიღბებოდა.”

რეჟისორის, მომდევნო ნამუშევარი „მიახლოება“ საბჭოთა საქართველოს პერიოდში შეიქმნა. სიუჟეტი ნანგრევებად ქცეული სახლის ირგვლივ ვითარდება და ფილმში ადამიანთა ყალბი ფასეულობებით ცხოვრების სავალალო შედეგებს ვხედავთ. „მიახლოება“ ერთგვარი სატირა იყო საბჭოთა ყოფაზე, რომელსაც დასავლეთში „კომუნიზმის ოდისეის აღსასრული” უწოდეს.

Co-funded by the European Union
Creative Europe MEDIA